

+

OGT.A1.1

მამათა სწავლანი - ღირსი მამა აბრაჰამ მონაზონი



SATURDAY, 14 DECEMBER 2013 16:54 | ავტორი - daviti |   

ძველი ქართული თარგმანი

თქუმული წმიდისა აბრაჰამ მონაზონისა [მონაზონთათჳს]

არა ჯერ-არს ჩუნდა მონაზონთა, რადთამცა მივსცენით თავნი თჳსნი ნებასა ჳორცთა ჩუნეთასა. უკუეთუ ჳემმარიტად გნებავს, მშაო, რადთამცა იყავ ერთი წმიდათაგანი, შეიმოსე საჳურველი მარხვისა და განძლიერდი ლოცვითა, და შეიკრძაღე მოთმინება მიმშლისა და ლუაწლი წყურილისა. რამეთუ გუამი განყენებული ნებათაგან ჳორციელთა, წმიდად იხილვებინ და ჳორცნი, მოგინებულნი მარხვითა, უბიწოდ გამოჩნდიან. ხოლო გუამსა შინა მსუქანესა და ნუკვეულსა ეგზეზინ დაუშრეტელად ალი იგი სიძვისა.

უკუეთუ გნებავს გვრგვნი წმიდათად მიღებად, ჯერ-არს შენდა, რადთა შეაიწრო მუცელი და წინა-აღუდეგ ნებასა ჳორცთა შენთასა და განსუენებასა გუამისასა და გულის-თქუმასა გულისა შენისასა დღისა და ღამისასა. და ესე უწყოდე ჳემმარიტად, ვითარმედ არა მოიგების გვრგვნი თჳნიერ ტანჯვისა, და არცა ძლევაჲ იქმნების თჳნიერ ბრძოლისა, და არცა მოსაგებელი - თჳნიერ საქმისა, და არცა განსუენებაჲ - თჳნიერ შრომისა, და არცა სიხარული - თჳნიერ მწუხარებისა, და არცა მხიარულებაჲ - თჳნიერ ჳმუნვისა. უკუეთუ გნებავ[ს] ძლევაჲ ლუაწლისა და შემოსად ქალწულებისა გვრგვნი, იყავნ ბრძოლაჲ შენი თავსა შენსა და ყოველი ლუაწლი შენი ნებისა შენისა მიმართ, და დააყენე თავი შენი ნებათაგან და ნუ შეუდგ მას, და ნუ გნებავნ ნუკვეად მისი. და ნუ მიენდევბი თავს-მდებასა მისსა, რამეთუ მიენდვის და უტყუის, უქადის და ეცრუის, ეფუცის და არა დაადგრის, რამეთუ ემინინ მარხვისაგან. და დადნების მღვდარებისაგან და უდებ არს ლოცვისათჳს. ეწყინების შრომაჲ და მიზეზობნ საღმობასა და ტკივილსა, ევლტის ყოველსა საქმესა სულიერებისასა. და უყუარს განსუენებაჲ ჳორციელი, სძულს დაყუდებაჲ ღმრთისათჳს და ეყუარების ცუდი განცხრომაჲ და ლაღობაჲ. და ამან უზადრუკმან იცის იგი, ვინ აღიყვანებს ზეცად, და ემოყურების და შეუდგს მას, რომელი შთაიყვანებს ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა. რამეთუ ემინის სწავლისაგან და ჳყუარობს მაქებელთა მისთა, და განშორებულ არს კეთილის მოქმედთაგან და უყუარან მზაკუარნი, სძულს მას დუმილი და უყუარს ზრახვაჲ ბოროტისა, სირცხვლისა და წარწყმედისა. და ვითარცა ესმის სიტყუაჲ საღმრთოჲ, მუნთუესევე დაჳჳსნდის და მოუძღურდის და დაეძინებიდ. და რაჟამს ესმის ცუდის მეტყუელებაჲ და ტყუილი, განედვის და მხიარულად ისმენს.

და რაჟამს დადგის ლოცვად და ღამის თევად, მუნთუესევე მოუძღურდის და დაჳსნდის ყოველი ძალი მისი, და ოდეს იმარხის, შეიმჳუხის პირი თჳსი. და ოდეს იხილის საჳმელი, განიხარის და მხიარულად შესცხრებინ თავსა თჳსსა, რადთამცა განსუენა და არა მოაგინა. და რავდენცა განამრავლო განსუენებაჲ მისი, ვერ განძღვბის იგი. და უკუეთუ შეაიწრო და დააყენე მისგან საშუებელნი და განსასუენებელნი დიდადნი, დაგჯერდების იგი მცირედსა, და რაჟამს მისცე მას მცირედი, იწყოს შენგან თხოვად დიდსა. ოდეს შეიკრძალო იგი მარხვითა, შიმშილითა და წყურვილითა, არარას სხუასა ითხოვდეს შენგან, თჳნიერ პურისა და წყლისა ხოლო. და უკუეთუ მიუშუა განძღვად, გთხოვდეს მერმე სანოვავითა და სანუკვართა. და რავდენცა მიუშუა და ანუკვო, ეგეოდენცა შთაგადოს მან ქუესკნელად, და რავდენცა აჳირო, აღგიყუანოს სიმაღლედ. ხოლო საქმე ჳორციელებრი ფრად მარჯუე არს მის ზედა და სძულს სულიერი. ამისთჳს ნუ მისცემ ნებასა მისსა და ნუცა დამოჩილები ნებასა მი[ს]სა, რამეთუ გამოცადის კაცისა გულის თქუმაჲ და ეგრეთცა ჳბამვენ იგი და საქმე ჳორციელი მსწრაფლ უბრძანის აღსრულებაჲ, ხოლო სულიერსა მიადროვნ და მრავალთა მიზეზთა და ცუდთა განზრახვათა მიზეზობნ. ხოლო დააყენე იგი ნებისაგან მისისა, რომელ არიან საჳმელნი და სასუმელნი, ძილი და განსუენებაჲ, და გიძლევიეს. და მისა შემდგომად ილუაწე ლუაწლი იგი მეორე, და შეკარ გუამი შენი გლოითა და მწუხარებითა და დამოჳკიდე იგი ჯუარსა ზედა მარხვითა, ჯუარსა აცუნე გულის თქუმანი ბოროტნი შრომითა ჳორცთადათა და დასცხრენ ბრძოლანი მისნი შენგან.

ჯერ-არს შენდა, რადთა მარადის გული გითქუმიდეს პურისათჳს და არა ცოდვისათჳს, და გული გეტყოდის წყლისათჳს და არა ვნებათათჳს. უკუეთუ შეიყუარო თავი შენი და განსუენო, მან შეგაწუხოს შენ და მოგიძულოს. და უკუეთუ პატივ-სცე, მან შეურაცხ-გყოს. უკუეთუ ანუკვო, მოგტანჯოს; და უკუეთუ განჳჳსნე კრულებისაგან, მან უწყალოდ შეგკრას შენ, რამეთუ მეგობარი არს მედგარი და მოყუასი მზაკუარი. ითხოვს შენგან ნებასა მი[ს]სა, ღამე ძილსა, და განსუენებასა შინა დაილევიან ცხორებისა ჩუნისა დღენი და ღამენი. და ამას შექცეულებასა შინა ჳამსაცა ერთსა არა შეგვნდობს, რადთა ნებაჲ ღმრთისაჲ აღვასრულოთ. და უკუეთუ შენ განსძლიერდე მის ზედა და მცირედ მოთმინე იქმნე, სძლო მას და დაიმონო იგი. და ქრისტე შემწე გეყოს და მოგმადლოს ძლევაჲ მისი, უკუეთუ მას მიენდო და გრწმენეს მაცხოარებაჲ მისი ყოვლითა გულითა შენითა, გიჳსნეს მან ყოვლისაგან ბოროტისა და ისმინოს შენი ყოველსა ჳამსა თხოისა შენისასა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ და პატივი მამისა თანა სულით წმიდითურთ აჳ და მარადის და [უკუნიით უკუნისამდე, ამენ].

"მამათა სწავლანი" - X-XI ს.ს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ

ტექსტი გადმოღებულია საიტიდან <http://titus.uni-frankfurt.de/>

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=563%3A2013-12-14-12-54-14&catid=38%3A2009-12-29-11-32-24&Itemid=66&lang=ka